გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათს დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვიძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


**თ. ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი, თ. დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილი და კნეინა ბარბარე მელიტონის ასული ვეზირიშვილისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შაბათს, 30 იანვარს, დილის 10 საათზედ იქნება გადახდილი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ნახევარ-წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **კნეინა ნინო დიმიტრის ასულის მაჩაბლის** სულის მოსახსენებლად. (2—1)

## „ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

სამშაბათს, 2 თებერვალს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი

კრება

„სახლების აშენების ამხანაგობისა“

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის მოქმედებისა წარსულ წელს,

2) არჩევანები გამგეობის წევრთა და 3) ახალ ამხანაგების არჩევანები.

კრებას შეუძლიანთ დაესწრნენ წევრნი და აგრეთვე ისინი, ვინც განაცხადებენ სურვილს წევრობისას და წარმოადგენენ საწევრო ფულს არა ნაკლებ ერთის თუმნისა. (5—1)

---

რადგან 24 იანვარს დანიშნული საზოგადო წლიური კრება «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა» არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, თანახმად საზოგადოების წესდების § 15-ისა, ხელ-ახლად დანიშნულია, კვირას, 31 იანვარს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა, ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 სექტემბრიდგან 1891 წლისა 1 სექტემბრამდე 1892 წლისა;

ბ, მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ 1892—93 წლისათვის, და

გ, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

---

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს ბანკის დამფუძნებელ წევრთა და მსესხებელთა საცნობლად, რომ წესდების 82 მუხლის ძალით, 14 თებერვალს, დილის 10 საათზედ, ბანკის შენობაში, ფრეილინის ქუჩაზედ, დანიშნულია საგანგებო კრება.

საგანი კრებისა:

1) მოხსენება შესახებ იმისა, რომ გადადებულ იქმნა 15 ათასი მანათი კახეთის რკინის გზის გამოსაკვლევად.

2) მოხსენება შესახებ იმისა, რომ გადადებულ იქმნას 1000 მანათი ხიზანთა დებულების ხელ-ახლად განხილვის შესახებ თხოვნის შესადგენად, რომელიც უნდა მიერთვას უმაღლეს მთავრობას.

3) მოხსენება შესახებ განმარტებისა და შეცვლისა იმ მინდობილებისა, როსელთაც პელმძღვანელობს ბანკის მმართველობა შესაცვლელად 6°/₀-ან სესხთა 5°/₀-ანად.

---

## მოვალეობა ჩვენის თავად-აზნაურობისა

(კიდევ „Новое Обозрѣніе“-სა და კახეთის რკინის გზის გამო)

ჩვენის ფიქრით, მხოლოდ მაშინ ვერას დაამუნათებს უფლება-უპირატესობით მოსილს წოდებას ვერც ისტორია და ვერც ჩამომავლობა, როცა იგი წოდება შეპყრობილია და გამსჭვალული დროს შესაფერ მისწრაფება-სურვილით. როდესაც ერის ყოფა-ცხოვრება ისეთია, რომ საკუთრად თვითონ არ შეუძლიან ჯერ-ჯერობით ხელი მოჰკიდოს დროთა შესაფერ საქმეების განხორციელებას, თაოსნობა და მეთაურობა, ჩვეულებისამებრ, უნდა იკისროს უფლებითა და უპირატესობით მოსილმა ნაწილმა ერისამ. რაკი ამისთანა ნაწილი არ გაურბის და ტვირთულობს რომელსამე განსაზღვრულს მოვალეობას საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობაში, თაოსნობს და ხელ-მძღვანელობას უწევს თავის სამშობლო ქვეყნის საქმეებს, მაშინ მისი უპირატესობანი და განსაკუთრებული უფლებანი არავის თვალში არ ეჩხირება, იმიტომ რომ, ყველას ჰგონია, ეგ უფლება-უპირატესობანი, ცოტად თუ ბევრად, კანონიერი ჯილდოა საზოგადო მოღვაწეობისათვისაო. ხოლო, როცა უფლება-მოსილი წოდება გაურბის, უარ-ჰყოფს თავის მოვალეობას საქვეყნო საქმის წინაშე და ერთხელა და ერთხელ შეძენილს უფლება-უპირატესობას-კი ირჩენს, ხელს არ უშვებს, მაშინ ზემოხსენებული წოდება გადაიქცევის მუქთა-მჭამელ და უსარგებლო წოდებად, რომელიც არა იშვიათად აფერხებს კიდეც ქვეყნის წარმატების საქმეს. უფლება-მოსილ წოდების საზოგადოებურ შნოსა და მის საპოლიტიკო სიბრძნეზეა დამოკიდებული, რამდენად დიდხანსაც შეირჩენს ქვეყნის ცხოვრებაში როლს მეთაურ-თაოსანისა და ხელ-მძღვანელისას. ასეთის როლის შერჩენა კიდევ შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა უფლება-მოსილი წოდება ფეხდაფეხ მიჰყვება დროსა და ჟამს, ცხოვრების წარმატებას არც თვითონ ჩამორჩება უკან.

ამ მარტივს კანონს უფლება-მოსილ წოდებათა საზოგადოებურს წარმატება-განვითარებისას ყურადღება არ მიაქცია, მაგალითად, საფრანგეთის თავად-აზნაურობამ და აკი ამიტომაც დაიღუპა. ხოლო ინგლისის თავად-აზნაურობა დაიხსნა და გადაარჩინა თავის ფრანგ მოძმეთა ხვედრს სწორედ ამ კანონის შეგნებამა და შეთვისებამა. მაშინ, როცა საფრანგეთის თავად-აზნაურთ მიანებეს თავი თავიანთ საგვარეულო მამულებს და თავ-პირს იმტვრევდნენ კარის-კაცობისათვის, საფრანგეთის მეფეთა ყურმოჭრილ ყმობისათვის, ინგლისელი ლორდები სულ სხვაფრივ აწარმოვებდნენ თავიანთ საქმეებს. იმათ შეირჩინეს ისევ საზოგადო ხელ-მძღვანელობა თავიანთ მამულ-დედულისა, რომელიც მისცეს საღალოდ, გინა იჯარით, ფულიან და შეძლებულ ფერმერებს, ხოლო თვითონ არ ითაკილეს მონაწილეობის მიღება თავიანთ ქვეყნის სამრეწველო წარმატებაში. ბურჟუაზია, ეს ხელ-მძღვანელი და თაოსანი ძალა ეხლანდელის მრეწველობისა, სულ შუა წოდების კაცთა კრებულია საფრანგეთში, ხოლო ინგლისში ამ კრებულში ურევიან არისტოკრატებიცა და შუა წოდების კაცნიცა. აი ასეთის გადაკავშირების წყალობით ინგლისის არისტოკრატია უვნებლად გადურჩა საისტორიო განვითარების დუღილს; საფრანგეთისაკი ამ დუღილმა სრულიად მოიდნო და მოინარიკლა: საფრანგეთის საზოგადოებაში თავად-აზნაურობა ძალა აღარ არის, ჯგუფი და წოდება აღარ გახლავთ.

ამ ჩვენს ახალს დროში, როცა ხელის გადახვევა ბურჟუაზიისა, მასთან კავშირი, უკვე აღარ ჰნიშნავს მეთაურ წოდების ხელის-გადახვევას, მეთაურ წოდებასთან კავშირს; როცა სარბიელზედ გამოდის დემოკრატია, გამოდის მერე ასეთის ძლევა-მოსილობით, ინგლისის არისტოკრატია კვლავ არ ჰღალატობს თავის წოდების ანდერძს, საპოლიტიკო ალღოს და სურვილს იჩენს, მოიპოვოს თანაგრძნობა ამ ახლად დაბადებულის ძალისა, მუშა-კაცთა წოდებისა. ამ საქმეს ინგლისის არისტოკრატია სცდილობს მით, რომ არ თაკილობს და არ ერიდება მათთან ერთად ბრძოლას ფულიან კაცების წინააღმდეგ.

ძნელია, რასაკვირველია, წინდაწინვე განსჭვრიტოს კაცმა, რით გათავდება ეს ფერხობა და წითელის კვერცხის გორება არისტოკრატიის მიერ წინაშე მუშა-დემოკრატიისა, მაგრამ ის-კი ყოველსავე ეჭვ-გარეშეა, რომ ევროპის ყველა არისტოკრატიებში მარტო ინგლისის არისტოკრატია დაადგა უეჭველსა და მართალს გზას თავის მდგომარეობის შესარჩენად. ეს გზა გახლავთ გზა დაუღალავის შრომა-გარჯისა საყოველთაო სასარგებლოდ, გზა იმ საქმეთა შეგნებისა კეთილ-სვინიდისიერის მეცადინეობით, რომელიც დროებას მოაქვს, გზა დათმობისა იმაში, რის დათმობაც საჭიროა საზოგადოების ახლად გაჩენილ ვითარებისა და მოთხოვნილების გამო.

ჩვენი ქვეყანა და მისი ცხოვრება ამ ჟამად ჩავარდნილია დიდსა და მრავალ-კერძოიანს გაჭირებასა და განსაცდელში. ჩვენ ეხლა საისტორიო საჯვაროს წინა ვდგევართ, იმ საჯვა-

---

# ფელეტონი

### პედაგოგიური შეცდომა.

„ახალი ანბანი“, ალნიაშვილისა. წიგნი I: ანბანი. წიგნი II: ხალხური ლექსები. წიგნი III: წვრილი ამბები. წიგნი IV: წვრილი ამბები. წ. V: გასართობი. ტფილისი. 1892 წ.

II

(შემდეგი *)

ჩვენ გავარჩიეთ პირველი წიგნი ალნიაშვილისა „ანბანი“. ამას მოსდევს: 1) ხალხური ლექსები, 2) წვრილი ამბეპი, 3) კიდევ „წვრილი ამბები“ და 4) გასართობი. ყველა ამ წიგნებს უნდა ვუწოდოთ ერთი ზოგადი სახელი: პირველ-საკითხავი წიგნი შემდეგ ანბანისა, მეორე ნაწილი „ახალის ანბანისა“.

ზევით მოვიხსენიეთ კერისა და უშინსკის შეხედულობა პირველ-საკითხავ წიგნის შესახებ. ერთის აზრით, ამისთანა წიგნი არის საფუძველი, ქვა-კუთხედი სრულის პირველ-დაწყებითის სწავლისა; მეორე ეთანხმება ამ განმარტებას, მხოლოდ ზედ დასძენს, რომ ყველაზედ დიდი საქმე მთელს დიდაქტიკაში მაგ პირველ წიგნის შედგენააო.

ბევრიც იწუხეს და თავები იმტვრიეს პედაგოგებმა, ვიდრე შეიმუშავებდნენ პლანსა და სისტემას ასეთის პირველის წიგნისას, ვიდრე აღნიშნავდნენ მისს მასალას.

ჩვენც, ვიდრე ალნიაშვილის წიგნების დაფასებას შევუდგებოდეთ, უნდა ალვნიშნოთ, რა მოეთხოვება უმთავრესად პირველს წიგნსა, რა მიაჩნიათ ყოვლად საჭიროდ და უეჭველ სამკაულად მისთვის. რა ამას შევასრულებთ, ხელში უტყუარი ზომა გვექმნება „ახალ ანბანის“ სიავ-კარგის გასარჩევად.

საგანი პირველ წიგნისა: გააცნოს ბავშვს გარემო ქვეყანა, ცხოვრება და ვითარება ბუნებისა და ადამიანისა. ეს გაცნობა უსამზღვროა, დიდის შინაარსისაა. რასაკვირველია, აქ იგულისხმება ის ზომიერება, რომელიც ბავშვს შეჰფერის. სწორედ ამ შესაფერის ზომით პირველი წიგნი იღებს მასალას, როგორც რეალურის მეცნიერების სალაროდამ, აგრეთვე გუმანიტარულიდამ. ერთის სიტყვით, პირველი წიგნი უნდა წარმოადგენდეს ენციკლოპედიას, პატარა საბავშვო ცოდნას ქვეყნისას. ასეთია ზოგადი განსაზღვრა პირველის წიგნის შინაარსისა. აქედამვე სჩანს, რა გვარი წერილები და მასალა უნდა იქმნას შიგ ჩართული. აი ეს წერილები: 1) საქმისა და საგნის მიერნი (дѣловыя), რომლებშიაც აღწერილია საგნები და ბუნების მოვლენანი, 2) ყოფა-ცხოვრების მიერნი, (бытовыя), რომლებშიაც იხატება ზნე-ხასიათი და წეს-ადათი კაცთა ცხოვრებისა და 3) წერილები საკუთრად ენის შესასწავლად.

პირველ ჯგუფის წერილნი აძლევენ ყრმას ხალხს ცოდნას, მეორისანი—ცოდნასაც სძენენ კაცთა ცხოვრებისას და ამასთანავე ზრდიან ზნეობრივ, მესამის ჯგუფისანი შესძენენ ენას, მკაფიო, მკვირცხლის სამშობლო ენის, ცოდნას.

რა-კი აღინიშნა მასალა, თავის თავად იბადება საკითხავი: რა ნაირის რიგ-წესით, რა სისტემით უნდა დალაგდეს ეს მასალა პირველს წიგნში?

პედაგოგიური პრინციპები: ჯერ ადვილი, მერე ძნელი, ჯერ ახლო-მყოფი, მერე შორეული, ჯერ მარტივი მერე რთული, თვითვე გვასწავლის სისტემასაც. ცხადია, უნდა დაიწყოს ყრმამ ბუნებისა და ადამიანის შესწავლა მით, რომ გაიგოს გარემოება სახლისა, სკოლისა, მერე თვალი მოავლოს ეზოს, მერე ქუჩას... ყოველ ამას კარგად დააკვირდეს, დაინახოს, გაარჩიოს და ნაყოფი დაკვირვებისა შეიძინოს. ასეთს სისტემას ადგია უშინსკი და აკი მისი სახელმძღვანელონი დღესაც სამაგალითონი არიან. ბ-ნ ალნიაშვილის „ახალი ანბანი“ რომელ სისტემაზეა აშენებული?—არავითარზედ. შემდგენელს შეუკრებია მასალა, გადურევ-გადმოურევია და დაუბეჭდია. ერთს წიგნში სულ სახალხო ლექსები მოუქცევია, მეორეში—ანდაზები, მესამეში—„გა-

*) იხ. „ივერია“ № 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს წინ, საცა სამი და ოთხი გზაა გადაჯვარედინებული. რომელი გზა ამოვირჩიოთ, რომელ გზით წავიდეთ წინ? ჩვენს შორს-გამჭვრეტლობასა, ჩვენს მოფიქრებულსა, ერთობილსა და უანგარო მოქმედებაზეა დამოკიდებული, რა სახეს მიიღებს, რა ვითარებისა იქმნება ამ ახლო მომავალში ჩვენის სამშობლო ქვეყნის ცხოვრება. განკერძოებული, ზღუდე-შემოვლებული ყოფა-ცხოვრება ჩვენის ერისა განქრა და ჰქრება, ვითარცა კვამლი. ჩვენც ფეხი გამოვყავით და შევდგით სხვა ერთა დიდებულს ცხოვრებაში; ჩვენც გვინდა მათის წარმატების თანაზიარნი გავხდეთ. იმ დროინდელი აღარა დარჩა-რა, როცა ჩვენს ქვეყანაში გამეფებული იყო მარტო ოდენ სამეურნეო, სამიწაო-მოქმედო წარმოება, ნავარაუდევი ადგილობრივვე მოსახმარებლად, ადგილობრივვე ურთიერთ-შორის ნაწარმოების გასაცვლელ-გამოსაცვლელად. ჩვენში ძლიერდება ახლა სამრეწველო წარმოება, დგება ისეთი დრო და ხანა, როცა მამა-პაპათაგან ნაანდერძევი წესრიგი სამიწად-მოქმედო წარმოებისაც-კი სრულად იცვლება და ისეთს ახალს საფუძველზედ მყარდება, რომელიც უფრო შეეფერ-შეეწონება ჩვენის ცხოვრების ახალს საეკონომიო ვითარებას. ამავე დროს ჩნდება სრულიად ახალი დარგნი მრეწველობისა, იბადება სრულიად ახალის სახისა და ფერის შრომა და გამრჯელობა. ერთის სიტყვით, წარმოება ქვეყნის ქონებისა და დოვლათისა დიდსა და მეტად საყურადღებო ცვალებადობაშია შესული.

რაკი ასეთი ცვლილება სწარმოებს ჩვენის ერის ქონებრივ ცხოვრების ვითარებაში, მის შესაფერადვე უნდა ცვალებადობდეს საზოგადოებრივი ურთიერთობაცა, საზოგადოებრივი უფლება-დამოკიდებულებაცა. უნდა გაჩნდეს ძალა, რომელსაც შეეძლოს იტვირთოს როლი ხელ-მძღვანელისა, საქმეთა აგება-მოწყობისა ასე განახლებულ და დღე-მუდამ განსაახლებლად მიდრეკილ ურთიერთობის სფერაშიაც.

საიდამ და როგორ უნდა გაჩნდეს ასეთი ძალა, ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ივერიელი

# ახალი ამბავი

*** ბათუმში 30 იანვარს სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ თ. ერისთავის ორ-მოქმედებიანი კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ და ვოდევილი „დათვი“. ამ წარმოდგენისთვის მიწვეულია ბათუმში ქართულ დასის არტისტი ვ. აბაშიძე.

*** როგორც მკითხველთ უწყიან, 23 ამ თთვისას ბაქოში დანიშნული იყო ქართული „საღამო“. წარმოდგენისთვის მიწვეულ იყვნენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, საფაროვი-აბაშიძე, ავალიშვილი, ანდრონიკაშვილი, ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, და ნებიერიძე. საღამომ ჩინებულად ჩაიარა. წარმოადგინეს დ. ერისთავის დრამა „სამშობლო“, და „ბაიყუში“ ა. ცაგრლისა. წარმოდგენის შემდეგ ქართულმა ხორომ ბ-ნ ეილიანოვის ლოტბარობით ჩინებულად შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა. საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა და რამდენიმე სიმღერა გაამეორებინა. სხვათა-შორის, ქ-ნ ანდრონიკაშვილმა ბ-ნ მურადოვმა ითამაშეს ლეკური. საზოგადოებამ დიდი მადლობა გამოუცხადა საღამოს გამგეთა ქ-ნთ სტალინსკაიას, კონსტენსკაიასა და ანტონოვს.

„საღამოს“ დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. თეატრის დარბაზი სავსე იყო. შემოსავალი 4,000 მანეთამდეა. „საღამომ“ 7 საათამდე გასტანა. საღამოთი საზოგადოება გულ-უხვად გაუმასპინძლდა არტისტებს და ჩინებული ვახშამი გაუმართა... ვახშმის შემდეგ არტისტები დიდის ამბით გააცილეს რკინის გზის სადგურამდე.

*** ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის საგანგებო კრებამ 26 იანვარს გადასწყვიტა, კახეთის რკინის გზის გამოსარკვევად საჭირო 15,000 მანათს ჯერ-ჯერობით ვერ გადავსდებთ, რადგანაც საზოგადო საქმეთათვის ძლიერ ცოტა ფული გვაქვსო (სულ 2,950 მან.)

*** ჩვენ მივიღეთ ახალ-ბაიაზეთიდამ 33 მან., შეგროვილი განსვენებულ ი. ი. კერესელიძის სახლობის სასარგებლოდ ბ-ნ მირიან ლოლაძის მიერ.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააარსა ქ. ბაქოს მახლობლად დაბა ზიხში ერთი სამკურნალო. ამ სამკურნალოს გამართვა ფრიად საჭირო იყო, რადგანაც სპარსეთიდგან ამ გზით ძლიერ ხშირად გადმოაქვთ ხოლმე სხვა-და-სხვა გადამდები სენი. ამ ჟამად ხსენებულმა სამინისტრომ კიდევ გადასდო 12,000 მანათი და განზრახვა აქვს სამკურნალოსთან თავშესაფარები გაჰმართოს ხოლერიან ავადმყოფთათვის.

*** ქ. ბაქოს ნავთის მწარმოებელთ საზოგადოების კომიტეტმა 20 იანვარს გადასწყვიტა: მიიწვიოს პ. ა. პარჩევსკი საზოგადოების ბუხჰალტრად და წელიწადში მისცეს 5,000 მანათი ჯამაგირი, იურისკონსულტად—პ. ტ. გორდიევსკი და მდივნად—ს. ი. ჯაყელი (თითოს წელიწადში 3600 მანათი), საზოგადოების კანტორის გამგედ მიწვეულია ი. გ. გარსოევი, რომელსაც დაავალეს, დანარჩენ საჭირო მოხელეთა სია შეადგინე და კომიტეტს წარმოუდგინე დასამტკიცებლადაო.

*** 23 იანვარს ბაქოდგან მომავალ სახალხო მატარებლის მე-3 კლასის ვაგონში უეცრად გარდაიცვალა ქუთაისის მცხოვრები ივანე ნაფეტვარიძე. ვაგონში ხმა გაისმა: „ხოლერა, ხოლერაო“, და ხალხი გარედ გამოცვივდა... გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მიცვალებული ჭლექით ყოფილიყო ავად.

*** როგორც ვიცით, ზოგიერთა მამულის პატრონებმა სთხოვეს მთავრობას, პრიკაზის ვალის გარდასახდელად 30 წლის ვადა მოგვეცითო. ეს თხოვნა შეიწყნარა მთავრობამ და ზოგიერთმა კიდეც ისარგებლა ამ შეღავათით, მაგრამ უმრავლესობას-კი არ უსარგებლნია. ამისათვის სახელმწიფო ბანკს განკარგულება მოუხდენია, რომ ყველას, ვისაც უთხოვნია, თუ არ უთხოვნია, ზემოხსენებული შეღავათი, ერთი თთვე ვადა კიდევ მიეცეთ და, თუ მაშინაც არ გადასწყვიტეს ვალი, დაგირავებული მამულები გაესყიდებათ ვალის შესავსებად.

*** ქ. ბაქოში ნოტარიუსის ადგილი განთავისუფლდა. მსურველთ 12 თებერვლამდე შეუძლიანთ გაგზავნონ თხოვნა და საჭირო ქაღალდები. 12 თებერვალს დანიშნულია მსურველთა გამოცდა, თანახმად სანოტარიუსო დებულების მე-15 მუხლისა.

*** თელავი: ამ დღეებში გაღმა მხარს სოფელ გავაზში ერთი გლეხი დიურჩვიათ. დანაშაული ჰბრალდება დარჩობილის ცოლს და იმავე სოფლის რამდენსამე გლეხ-კაცს. იმოდენი კაცის-კვლა და ქურდობა არც ერთს წელიწადს არ მომხდარა თელავის მაზრაში, რამდენიც წელსა. ასე გასინჯეთ, დედაკაცებმაც-კი გამოიღეს ხელი.

*** სოფ. ქარელი (გორის მაზრა): ეს მეორე თთვეა, დიდი სიცივეები და ყინვაა აქეთ; ამისთანა ამინდმა სხვა და სხვა ნაირი ავადმყოფობა გვაწვია, მაგალითად: ხველა, სურდო, ყურის ტკივილი, ყელ-ყბის სიმსივნე და ციება. უმეტესად გაძლიერებულია ხველა-სურდო და ყურის ტკივილი; ისეთს სახლს ვერ ჰნახავთ, რომ ორი და სამი ავადმყოფი არ იყოს. ეს ავადმყოფობა შიგა და შიგ კიდევაც ჰხოცავს ხალხს.

*** იქიდამვე: ამ თთვის 22 კინაღამ ერთი უბედურობა არ დატრიალდა ქარელის სადგურზე. შუადღის შემდეგ, მესამე საათი იყო, რომ ქარელის რკინის გზის სადგურზე მუშა მატარებელი მოვიდა; თურმე ამ მატარებელს გორის სადგურიდგან გამოჰყოლოდა მედუქნე, ლუკვიაშვილი. კონდუქტორს ლუკვიაშვილისთვის მოსაყვანი ერთი აბაზი ეთხოვნა; ლუკვიაშვილს-კი სამი შაურის მეტი არ ეძლია; ამასობაში ჩხუბი მოსვლოდათ; როცა მატარებელი ქარელის სადგურს უახლოვდებოდა კანდუქტორს ხელი ეკრა ლუკიაშვილისთვის და მატარლებიდგან გადმოეგდო. ლუკიაშვილს მატარებლის ქვეშ ფეხი მოჰყვა და მარჯვენა ფეხზე თითები წაასხვიპა.

*** ქ. ქუთაისი: ეგრედ წოდებულ, არქიელის გორაზედ შემდეგი ამბავი მოხდა: მე მგონია რომ, ყველას წაკითხული ექმნება, „ივერიაში“ გორაზედ რომ აბრამიშვილს ყაჩაღები დაეცნენ, რომლებიც უკვე შეიპყრეს, გაბოჭეს და პოლიციას ჩააბარეს. ამან არ დააშინა და არ გააფრთხილა აქაური ქურდები. აი კიდევ ახალი შემთხვევა: 12 იანვარს ღლით, მეთოდე კუბანეიშვილის სახლს ქურდები დაეცნენ, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს ქურდები ძალზედ გამწარებული უნდა ყოფილიყვნენ შიმშილისა გამო. თავდა პირველად ამ ქურდებმა სახლში შესვლის მაგივრად სამზარეულოს მიაშურეს თურმე, სადაც მოჯამაგირეს ეძინა. ამ საწყალს ბიჭს ყინვისა და სიცივისა გამო ძალზედ ჩასძინებოდა და არა გაუგიარა. ქურდებს შეუნიშნავთ, რომ იქვე ინდოური ყოფილიყო ფეხ-შეკრული, დაუვლიათ ხელი და დაუპირებიათ წასვლა. ამ დროს ერთი პოლიციის მოსამსახურე, სახელდობ ალექსი სულაძე, მოდიოდა თურმე ფოსტიდგან და უცებ თვალი მოუკრა, რომ ვიღაც თეთრ ჩოხიანი კიბის ქვეშ იმალება ალექსიმ დაუყვირა, ვინა ხარო, და ორჯელ რევოლვერი დაახალა. საწყალ ქურდს ძალზედ შეჰშინებია, ხელიდგან ინდაური დაუგდია და თვალებ-დათხრილი გაქცეულა.

*** 26 იანვარს, ვერის ხიდიდგან, მტკვარში გადავარდა და თავი დაირჩო ჯარის კაცმა ბორის კორნეევმა.

## კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება

27 იანვარი

კრება დაიწყო 8 საათზე ბ-ნ შიმანოვსკის თავმჯდომარეობით: დაესწრო 24 წევრი საზოგადოებისა და ორიოდე გარეშე კაციც. პირველად ბ-ნ დინგელშტეტმა წაიკითხა თავისი მოხსენება: „საქონლის მოშენება შვეიცარიაში“.

შვეიცარიის შესახებ წერა და ცნობების მიწვდენა ჩვენ მკითხველ საზოგადოებისათვის დიდად სანუკვარია, რადგან ჩვენი მხარე—კავკასია, გეოგრაფიულ მდებარეობითა, ჰავა-ბუნებითა ბევრად მოაგონებს კაცს, როგორც მოგვითხრობენ სხვა-და-სხვა მწერალნი და მგზავრნი, დასავლეთ ევროპის შუა-გულს მდებარე პაწია შვეიცარიას, თუმცა, ბ-ნ ლექტორისა არ იყოს, ეკონომიურად და სხვაფრივაც, მაგალითად, მართვა-გამგეობით, ზნე-ჩვეულებით და ყოფა-ცხოვრებით შვეიცარიელნი და კავკასიელნი არა ჰგვანან ერთმანეთს. ბ-ნი დინგელშტეტი სპეციალისტი არ არის საქონლის მოშენების საქმეში, როგორც თითონაც აღვიარა; ამიტომ მისი გუშინწინდელი მოხსენება, შვეიცარიაში საქონლის მოშენების შესახებ, უფრო დაკვირვებას ჩვეულის და ცნობის-მოყვარე მგზავრის ნაწერია.

შვეიცარიაში საქონლის მოშენებას, ბრძანა პატივცემულმა ლექტორმა, დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს: უმეტესი ნაწილი იქაურებისა ცხოვ-

---

სართობი“, მეოთხეში—„წვრილი ამბები“... სულ ასე, უთავ-ბოლოდ.

ამ შემთხვევაშიც ბ-ნი აღნიაშვილი მოქცეულა სრულიად წინააღმდეგ პედაგოგიისა და პედაგოგებისა *).

„ახალ-ანბანის“ სტატიებს შორის ვერავითარს კავშირს ვერ ჰპოვებთ.

რომ უფრო ცხადად დავანახო მკითხველს „ახალ ანბანის“ უსისტემობა, უპლანობა, „აბდაუბდობა“, შევადარებ ბევრთაგან ათვალწუნებულს „დედა-ენას“ პატივცემულის ი. გოგებაშვილისას.

„ახალ ანბანში“ ჯერ დაბეჭდილია რაღაც წერილი „მოხრილი წკირი“, მერე საწერი სავარჯიშოები და მერე ასეთი გამოცანა:

ერთი რამე სულიერი
დაიარების ჩოჩვითა,
ფეხებში ბორკილს გაიყრის,
შვილებს დაარჩენს ბლოჭითა;
თუ შენ ამას გამოიცნობ,
ხვალ გაგიხსნილებ გოჭითა.

გოჭით-კი არა, აქლემითაც რომ გაუხსნილოთ, ვე'ავინ გამოიცნობს. რატომ? იმიტომ რომ არსებითი ნიშნები საგნისა არ არის აქ ჩამოთვლილი და თვით გამოცანაც უალაგოალაგას არის ჩაჩხირული.

„დედა-ენაში“ ყოველი ანდაზა, ყოველი გამოცანა თავის ალაგას არის. ამიტომ მათი გამოცნობა და შეგნება ადვილია. გადავშლით სანიმუშოდ აი თუნდა მე-30 ფურცელს. აქ ჯერ არის ლაპარაკი ავეჯზედ, ჭურჭელზედ, მერე ჩამოთვლილია სათითაოდ: სკამი, სტოლი, ქვაბი, სამოვარი და სხვა. მერე ამავე ნივთების სურათია და....მხოლოდ შემდეგ ასეთი გამოცანები:

ოთხთა ძმათა, ტანით ტოლთა, თავზედ ჰხურავთ ერთი ქუდი.—გარეთ ოქრო, შიგნით ვერცხლი, ვერცხლში წყალი, წყალში ცეცხლი.—წითელსა ეკლესიასა შავი ყორანი შემოჯდა.

ქათმითაც რომ არ გაუხსნილოთ, ამ გამოცანებს ყველა გამოიცნობს, და ბავშვიც დიდს კმაყოფილებას იგრძნობს, რომ თითონ გამოიცნო, თავისის ფიქრით მიხვდა და არა „ახსნაში“ ჩაიხედა, როგორც უნდა მოიქცეს უთუოდ „ახალ ანბანის“ მკითხველი. კიდევ განვაგრძოთ შედარება?—არა, ბატონებო, მე განმათავისუფლეთ ამ შრომისაგან. თუ ისურვებთ, თქვენ შეადარეთ. ჩვენ მხოლოდ იმას გავიმეორებთ, რომ ერთს წიგნში ყოველსავე თავისი ადგილი უჭირავს: ანდაზებს, ლექსებს, ჩქარა-გამოსათქმელებს, მოთხრობებს, სასაუბროებს—ყველას თავისი ადგილი უპოვიათ და ობლად არ დაქსაქსულან, არ წარმოადგენენ „გზადაკარგულთა ცხოვართა“. მეორეში („ახალ ანბანში“) ენათა არევაა, გზა დაბნეულობა, უსისტემობა.

ხატსა და სურათს რომ მივმართოთ, „ახალი ანბანი“ ასე გვეჩვენება. წარმოიდგინეთ კაცი, რომელმაც მოზიდა ოცი ურემი კირი, ასი ურემი ხის მასალა, დაჰყარა ერთს ალაგას და მერე გამოაცხადა გაზეთში: მე 33 ოთახიანი „ახალი სახლი“ ავაშენე და თითო ოთახს ორ შაურად ვაქირავებო. სიაფემ, იქნება, მოგატყუოთ; წახვალთ, ჰნახავთ და პირ-კატა ნაცემი-კი გამობრუნდებით: რის ოთახი, რის ფლავი! მასალაა მხოლოდ დომხალივით ერთმანეთში არეული. აი უტყუარი სურათი „ახალის ანბანისა“. ახლა, მასალა-კი ვარგა? იქნება აგური კარგად დამწვარი არ არის, იქნება ხე-ტყე ნედლია ანუ დამპალი.

მხოლოდ ეს მოსაზრება გვაიძულებს, რომ „ახალ ანბანის“ მასალაც გავშინჯოთ: ივარგებს თუ არა ის მასალა სხვა „უახლესის ანბანისთვის“ მაინც?!.

(დასასრული იქნება)

---

*) „Хотя матеріалъ для чтенія долженъ быть, по возможности, разнообразенъ, однако слѣдуетъ подводить его, по возможности, къ единству, такъ чтобы статьи и стихотворенія вязались между собою: одно должно служить поясненіемъ или пополненімъ другаго“.

(Ельницкій. мет. н. об. от. яз.)

„Мы считаемъ положительно вреднымъ, въ чемъ-бы то ни было, всякое безслѣдное перепрыгиваніе съ дѣтьми съ предмета на предметъ: такое прыганіе ослабляетъ дѣтскую память, наполняя безсвязными, постоянно-глохнущими остатками“.

Ушинскій. Рук. къ пр. по Р. С.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების სახსარს იმითი შოულობს, რომ საქონლის მოშენებას მისდევს. მთელი შვეიცარია, ეს პაწია, მაგრამ გლეხთა სამაგალითო ქვეყანა დასავლეთ ევროპისა, სივრცით 2.370,000 დესიატინაა, ან 4.740,000 დღიური. აქედან ნახევარი 1.360,000 დესიატინა ან 2.720,000 დღიური იალაღსა და სათიბს უჭირავს: პირველი ცოტათი მეტია უკანასკნეზე. საიალაღო ველ-მინდვრებს შვეიცარიელები აპოხიერებენ: შვეიცარიელი პატივს არც ჰყიდის და არც ყიდულობს, რაც შეუგროვდება იმით ველ-მინდვრებს აპატივებს. რო დავაფასოთ შვეიცარიელების საიალაღო ველ-მინდვრები, $264^1/_2$ მილიონი ფრანკი ეღირება, სათიბი ადგილები ცოტათი ნაკლები—200 მილიონი ფრანკი. ყველაზედ მეტი სათიბი ადგილები შვეიცარიაში ნევშატელსა და ბერნის კანტონებშია.

1886 წელს მთელს შვეიცარიაში 1.211,713 სული სხვილ-ფეხი საქონელი იყო და 342 ათასი ცხვარი, 416 ათასი თხა. შვეიცარიის მცხოვრებთა რიცხვის კვალობაზედ რო ვიანგარიშოთ, ორ კაცზე ერთი სული საქონელი მოდის.

შემდეგ ლექტორმა ილაპარაკა მხოლოდ ერთად-ერთ კანტონ—ქვემო ვალლისში საქონლის მოვლა-მოშენების შესახებ. სხვათა შორის სთქვა ბ-ნმა დინგელშტეტმა, ორიოდე ზაფხული დავყავი ქვემო-ვალლისშიო და, როგორც ჩემის თვალით ვნახე, ქვემო-ვალლისელ გლეხებს ძლიერ სუფთად და რიგიანად აშენებული სახლები აქვთ საქონლისათვის, რომლების მგსავსი კავკასიაში მხოლოდ ბარონ კუჩენბახს აქვსო. ქვემო-ვალლისელები ზამთრობით ერთხელაც არ გარეკენ გარედ საქონელს, რაც უნდა კარგი ამინდი იდგეს.

ბ-ნ დინგელშტეტის მოხსენების წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ, ბ-ნ შიმანოვსკიმ, აუწყა კრებას: მინდვრის თაგვების გასაწყვეტად ლეფლერის მიერ მოგონილი სახადის „ბაცილები“ დავიბარეთ ლეფლერის წარმომადგენელისაგან, მაგრამ პასუხად მივიღეთ ახლა, დიდ ყინვა-სიცივის გამო, ვერ გიგზავნით დაკვეთილ სახადის „ბაცილებს“ და გაზაფხულამდე მოითმინეთო. იმის გამო, რომ ბევრგან კავკასიაში თაგვებს დიდი ზარალი მოაქვთ და წრეულ უფრო ძლიერ არის გამრავლებული, კრებამ თავმჯდომარის რჩევით გარდასწყვიტა: დეპეშით სთხოვოს ლეფლერის წარმომადგენელს რუსეთში,—გამოგზავნოს ახლავე ერთი ყუთი თაგვის სახადის „ბაცილა“, და თუ გზაზე გაფუჭდა, სამეურნეო საზოგადოება იტვირთებს ამის ხარჯსაო; მით უფრო საჭიროა ასეთი სიჩქარე, გაზაფხულ-ზაფხული ჩვენში ადრე იწყება და უნდა ახლავე შევუდგეთ სამკურნალო საზოგადოების ლაბორატორიაში ლეფლერის „ბაცილების“ მოშენებას და ვსცადოთ, ჩვენებურ მინდვრის თაგვსაც ისე ჰკლავს, თუ არა, ლეფლერის მიერ მოგონილი წამალიო.

მერე თავმჯდომარემ ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვის სია წარმოუდგინა კრებას, მაგრამ კრებამ არ განიხილა, რადგან საზოგადოების წევრის ბ-ნ ალიბეგოვის რჩევით საჭიროდ დაინახა, ხარჯთ-აღრიცხვის წინდაწინვე დაბეჭდვა და თითო ეკზემპლიარის გაგზავნა ყველა წევრთან, რომ უფრო გულ-დასმით და ყურადღებით გაარჩიონო. ამის შემდეგ აგრონომ ფირალაშვილმა წაიკითხა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა ზარალი მოაქვს სეტყვას და რამდენად სასურველია დაარსდეს ტფილისში ყოველ-გვარ ძვირფას მცენარეთა სეტყვისაგან დაზღვ ის საზოგადოება. ეს მოხსენება ისეთი ვრცელი იყო, რომ კრებამ ამ მოხსენების შესახებ სჯა-ბაასი შემდეგისთვის გადსდო. მერე საზოგადოების წევრმა ბ-ნ ალიბეგოვმა დიდად საყურადღებო ლაპარაკი ჩამოაგდო იმის შესახებ, თუ როგორის შინაარსის წერილები უნდა იბეჭდებოდეს საზოგადოების ჟურნალშიო. ჩვენ ჟურნალს არავინ კითხულობსო, სთქვა ბ-ნ ალიბეგოვმა, რადგან სულ ნათარგმნი და თითქმის მხოლოდ უცხო ქვეყანათა ცხოვრების შესახები წერილები იბეჭდებაო; ამიტომ სასურველია და დიდადაც საჭიროა კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეს კორესპონდენტები ვიყოლიოთ და ისეთი წერილები იბეჭდებოდეს ჟურნალში, რომლებიც ჩვენს ქვეყანას შეეხებიან, ასეთს კორესპონდენტებს ჯილდოც უნდა მიეცესო. კრებამ მოიწონა ბ-ნ ალიბეგოვის შენიშვნა. ბოლოს კენჭის ყრით ტეხნოლოგი ტერ-ოჰანეზოვი საზოგადოების ნამდვილ წევრად ამოირჩიეს. კრება დაიშალა ღამის 11 საათზედ.

---

## სასამართლოს მატიანე.

განსამართლება სომხის მღვდლის ტერ-კონსტანტინე არარატიანცისა და დურგლის მნაცაკან მელიქოვისა 23-ს იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოს მიერ.

(დასასრული *)

ნაფიცი ვექილი ოპოჩინინი (მცველი მღ. არარატიანცისა). მე არა მგონია, თუ აქ 1060 ან 1466 მუხლს სისხლის სამართ ის კანონისას ადგილი ჰქონდეს. დავთანხმდები ცოტას ხანს, რომ მღვდელი არარატიანცი ნამდვილი იჯარადარია, ხოლო მისი ბოროტ-მოქმედება რითი მტკიცდება, რომ აღნიშნულ კანონით დაისაჯოს? ჯერ უნდა ვიცოდეთ, რა იკისრა იჯარადარმა, რის გაკეთება მიანდო კანსისტორიამ, და მერე გამოვარკვიოთ, რიგიანად შეასრულა იჯარადარმა თავისი მოვალეობა, თუ პირობა გასტეხა და ნდობა ბოროტად მოიხმარა თავის სასარგებლოდ. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ კანსისტორიამ მიანდო იჯარადარს 500 მანეთად ხიდის გაკეთება იქ, სადაც საჭირო იყო 1000 მანეთი დახარჯულიყო, რომ რიგიანი ხიდი აშენებულიყო. იჯარადარმაც 500 მანეთიანი ხიდი გააკეთა და თავის პირობას არ გადავიდა. დაწვრილებით რო აღენუსხა კანსისტორიას გასაკეთებელ ხიდის ყველა ნაწილი, პლანი და პროექტი რო მიეცა, მასალის სიმსხო, სიგრძე და სიგანე მაინც რო ეჩვენებინა, და იჯარადარს ყველა ეს არ შეესრულებინა, მაშინ შეგვეძლო გვეთქვა, რომ, აი, უსინიდისოდ მოიქცა, პირობა გასცა და ფული ტყუილად ჩაჯიბაო. აქ რომ ამისთანა არა არის-რა? ხიდი ისეთივე იყო, როგორც წინა წლებში, აკლდა მხოლოდ ცოტაოდენი რამ, რაც წინად ყოველთვის ყოფილა ხიდის აშენების დროს,—მეთვალყურე, ხელ-მძღვანელი, ხუროთ-მოძღვარი. თვით პროკურორმა ბრძანა, რომ დიდი ზნეობრივი დანაშაულობა მიუძღვის ქალაქის გამგეობას, პოლიციას და კანსისტორიას, რადგანაც ხიდის გაკეთება ღვთის ანაბრობაზე მიაგდესო. ექსპერტებმა სთქვეს, რომ ძირითადი მიზეზი ხიდის უვარგისობისა ის არის, რომ მცოდნე კაცი არა სდგომია თავსაო. რა უნდა ექმნა მღვდელს, თუ ესეთი კაცი არსაიდგან არ მიაშველეს. თვითონ მღვდელმა არა იცის-რა და ვერც-რას მოსთხოვთ. მაინც-და-მაინც, თუ რამე დანაშაულობა არის აქ მღვდლის მხრივ, უნდა მივმართოთ არა ზემოდ მოყვანილს კანონს, არამედ 66 მუხლს იმ დებულებისას, რომლითაც სჯიან დამნაშავეთ მომრიგებელნი მოსამართლენი.

მაგრამ მღვდლის არარატიანცის დანაშაულობაზე არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება, რადგანაც ის არ არის იჯარადარი. იჯარა ყოველთვის პირობის ქაღალდით უნდა გაიცეს და, ვინც ხელს აწერს, ის არის კანონით იჯარადარი. ბევრი მდიდარი სოვდაგარი მრავალ იჯარას იღებს და სულ სხვებს გარდასცემს ხოლმე, ისინი კიდევ სხვებს. თუ იჯარადრად ის არ ვიცანით, ვინც პირობას ხელი მოაწერა, მაშინ იჯარადრის ძებნა, თუ საჭირო იქმნა, დიდხანს მოგვინდებოდა და ბევრს შემთხვევაში ვერც-კი მივაგნებდით. ამისთანა შემთხვევაში კანონი ერთს პირველს იჯარადარს იცნობს, ის არის ყოველთვის მოპასუხე, სხვისთვისაც რომ ჰქონდეს იჯარა აღებული და გადაცემული პირობის ქაღალდებით. კანსისტორიის იჯარადარი ტერ-გუკასოვია. თუმცა ბრალმდებელი ამბობს, რომ იმას ძალად მოაწერინეს ხელიო, მაგრამ ეს არაფრით მტკიცდება. ტერ-გუკასოვი ისეთი გულუბრყვილო არ არის, როგორც ბრალმდებელს ჰგონია. საქმით სჩანს, რომ ტერ-გუკასოვს თავის მღვდლისა არც შიში ჰქონია და არ მორიდება; საჩივარიც-კი აუტეხა რაღაც სულ უბრალო საქმეზედ და, თუ ეს შესაძლებელია, უარიც შეეძლო ეთქვა, პირობის ქაღალდს ხელს არ მოვაწეროო.

ამ საბუთების და მოსაზრების ძალით, მღვდელი არარატიანცი სრულიად უნდა გამართლებულ იქმნას.

ნაფიცი ვექილი მელიქ-ადამოვი (მცველი მელიქოვისა). იმას, რაც ჩემმა ამხანაგმა ილაპარაკა, მე ორიოდ სიტყვას დავუმატებ. უბედურების მიზეზი გამორკვეულია. პროკურორმაც და ჩემმა ამხანაგმაც სამართლიანად აღნიშნეს ქალაქის გამგეობის, პოლიციის და კანსისტორიის დანაშაულობა. ხოლო მე ერთს ნაბიჯს წინ წავსდგამ და ვიტყვი, რომ აქ მხოლოდ ზნეობრივი დანაშაულობა-კი არა, იურიდიულიც ნათლადა სჩანს. დამნაშავე ქალაქის გამგეობაა, რომელიც ყველა ქალაქის შენობების აშენების და შეკეთების საქმეს განაგებს და მოვალეა ყველა უკანონოდ დაწყებული შენობა აკრძალოს. ქალაქის გამგეობამ იცოდა, რომ ხიდი კეთდებოდა, ქაღალდი მიუვიდა ამის შესახებ კანსისტორიისაგან და თვით გამგეობამ გაჰგზავნა მუშები საიორდანო გზის მოსასწორებლად. მთელმა ქალაქმა იცის, რომ ხიდი ყოველ წელს კეთდება და ვერ დავიჯერებ, თუ ბ-ნ იზმაილოვმაც არ იცოდა. იურიდიული დამნაშავე გამგეობაა იმ წესდების ძალით მაინც, რომელიც თითონ ქალაქის სამმართველომ დაამტკიცა, დაჰბეჭდა და აქ საქმეშია ჩაკერებული. თუ იმ დაწესებულებათა და მოხელეთა ხელის ჩაჭიდება არ შეიძლება, რომლებიც დღეს თვით პროკურორმა დაასახელა, უბრალო დურგალ მელიქოვის შესახებ ხომ სულაც არ ღირდა ლაპარაკი. მელიქოვი იმდენადვეა დამნაშავე, რამდენადაც მეორე დურგალი პოლოსოვი, რომელმაც ხიდის გაკეთება ნარდად იკისრა 120 მანეთად; დამნაშავე არიან ყველა ის ხელოსნები და მუშები, რომლებმაც ხიდის გაკეთებაში მონაწილეობა მიიღეს. მელიქოვი იმათში გამოსარჩევი არ არის და, თუ იმათ ბრალი არ ედებათ, მელიქოვიც უნდა გამართლებულ იქმნას.

ამის შემდეგ პროკურორი და ვექილები ერთხელ კიდევ გამოეკამათნენ ერთმანეთს ზოგი-ერთა კითხვების გამოსარკვევად.

თავმჯდომარემ ჰკითხა ბრალდებულთ, თავის გასამართლებლად ხომ არ უნდათ სთქვან რამე. იმათ უარი განაცხადეს. მოსამართლენი გავიდნენ განაჩენის დასადგენად.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ორივე ბრალდებულნი გამართლებულ იქმნენ. გასამართლებელ საბუთებს სასამართლო გამოაცხადებს 8 თებერვალს.

*) იხ. «ივერია», № 20.

---

## ეგვიპტის საქმე

მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟამად ევროპის თითოეულს დიდს სახელმწიფოს თავისი საკუთარი ჭირ-ვარამი აწუხებს და სრულიად არ აქვს დრო პაწია დაჩაგრულ სახელმწიფოებს მიაპყროს ყური,—მაინც ამ ბოლოს დროს ეგვიპტემ—ამ უძველესმა ქვეყანამ ფარაონებისამ და ბედკრულ „ფელლახებისამ“, მიიქცია ყურადღება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა.

ეგვიპტის ახალგაზდა მფლობელმა, ანუ, როგორც იქ ეძახიან, ქედივმა სამინისტრო გადააყენა: მთავარ-მინისტრად, ფემი-ფაშას-მაგიერ, ფახირი დანიშნა. გამოსცვალა სხვა მინისტრებიცა. ეს იწყინა ინგლისმა, რადგან ქედივმა ყოველივე ეს მის დაუკითხავად მოახდინა. ინგლისი-კი, ათი წელიწადია სრული, რაც ეგვიპტის ბატონობას ჩემულობს: ჯარები უყენია იქ. ინგლისის მთავრობამ ქაირში (სატახტო ქალაქია ეგვიპტისა), თავის წარმომადგენელ კრომერის შემწეობით, შეაცვლევინა ქედივს მისი განკარგულება: მთავარ-მინისტრად, ფახირის მაგიერ, რიაც-ფაშა დაანიშვნინა.

ყოველ ამის გამო საფრანგეთი, რომელსაც ძლიერ გაუჭირა საქმე პანამის უკუღმართობამ, შეეკითხა ინგლისს, რას ნიშნავს ეგვიპტის შინაურ საქმეებში გარევა ბრიტანიის სახელმწიფოსაგანაო. განა მხოლოდ გარეგან წესიერების დასაცველად, და ისიც დროებით, არ გიყენია ჯარები ეგვიპტეშიო?

ეგვიპტის საქმე ევროპის სახელმწიფოთა საერთა-შორისო შეთანხმებით უნდა გარდაწყდეს. დღემდე ეგვიპტესოსმალეთი ჰპატრონობს. 1881 წელს, არაბი-ფაშას წინამძღოლობით ეგვიპტეში დიდი ამბოხება მოხდა მაშინდელ ქედივისა და ევროპიელ ფულიან-კაცების წინააღმდეგ. ქედივი განცხრომითა და ფუფუნებით ცხოვრების მოყვარე იყო და ბევრი ფული სჭირდებოდა, რაისათვისაც ჩაუვარდა ევროპიელ ფულიან კაცებს კლანჭებში; ესენიც თვალ-გაფაციცებულნი იყვნენ და სწოვდნენ საბრალო ეგვიპტელთა სისხლს: მრეწველობა-ვაჭრობა სულ იმათ ხელში გადავიდა. არაბი-ფაშის მოთავეობით აღძრულმა ამბოხებამ იქამდე მიაღწია, რომ ზაფხულს 1892 წელს ეგვიპტელებმა ალექსანდრიაში (ზღვის-პირა სავაჭრო ქალაქია ეგვიპტისა) დახოცეს ევროპიელნი. ევროპის სახელმწიფოებმა ერთმანეთის შეთანხმებით გარდასწყვიტეს: ჩვენმა წარმომადგენლებმა ოსმალეთის მთავრობასთან ერთად განიხილონ ეგვიპტის საქმეო. მაგრამ ხვანთქარმა ეს არ ინება: ეგვიპტის საქმეებში გარევა მხოლოდ ჩემი საქმეაო. მაშინ საფრანგეთისა დ ინგლისის სამხედრო ხომალდები ივნისის მიწირულში მიადგნენ ალექსანდრიის ქალაქს. არაბი-ფაშამ ქალაქი გაამაგრა. საქმე ბრძოლაზე იყო მიმდგარი. არაბი-ფაშასთან ბრძოლა, როგორც თავის ერის ჭეშმარიტ უფლებათა დამცველთან, საფრანგეთმა არ ინდომა და განშორდა ინგლისს. ინგლისის ადმირალმა სეიმურმა იერიშით აიღო ალექსანდრია. მაშინდელმა საფრანგეთის მთავარ-მინისტრმა ფრეისინემ დეპუტატთა პალატას ფული მოსთხოვა, სუეზის (ლესეპსის-მიერ გაკეთებული არხი) დასაჭერად; პალატამ უარ-ჰყო ფრეისინეს თხოვნა. ამის გამო ფრეისინეს სამინისტრო გადადგა სამსახურიდამ. ინგლისსა და საფრანგეთს ხელ-შეკრულობა ჰქონდათ ერთმანეთ შორის, ეგვიპტის შესახებ ერთად ვიმოქმედოთო. ინგლისმა სთხოვა საფრანგეთს, უარ-ჰყავი შენი უფლება ეგვიპტის საქმის შესახებ და სამაგიეროდ ფული მიიღე ჩვენგანაო. საფრანგეთმა უარ-ჰყო ინგლისის თხოვნა. მაშინ ლორდ დეფფერინმა 1883 წელს ოფიციალურად გამოაცხადა, ქაირში საფრანგეთთან ხელ-შეკრულობა ეგვიპტის საქმის შესახებ ამას იქით გაუქმებულია და ძალა აღარა აქვსო. ამასთანავე ბრიტანიის მთავრობამ აუწყა ევროპის სახელმწიფოთ, ეგვიპტეში ხუთის წლით ვაყენებ ჩემს ჯარებს, ესე იგი ვიდრე ამ ქვეყანაში სამოქალაქო და სამხედრო წეს-წყობილება არ გადაკეთდება, არ მოეწყობა ევროპიულადაო. საფრანგეთმა წინააღმდეგობა გაუწია. ევროპის სახელმწიფოებმა არა უპასუხეს-რა ინგლისს. ინგლისი-კი ყოველსავე თავისს, ნამდვილ „ინგლისურ“ ხერხსა ხმარობდა, რომ დაეყოლიებინა ხვანთქარი და ოსმალეთთან ერთად შეეცვალა ეგვიპტეში მართვა-გამგეობის წეს-რიგი. მაგრამ ვერას გახდა. ამავე დროს ეგვიპტეში მეორე, პირველზე უძლიერესი ამბოხება მოხდა, ახლა წინასწარმეტყველად წოდებულ მაჰდის მეთაურობით. აქაც ოსმალეთმა მხარი არ მისცა ინგლისს და მასთან ერთად არ იმოქმედა ამბოხების დასათრგუნვად. 1887 წლის დამდეგს თავდებოდა ინგლისის მიერ წინად გამოცხადებული ვადა—ხუთი წელი—და უნდა გამოეყვანა ჯარები ეგვიპტედგან. მაგრამ ინგლისი კვლავ მაინც ბატონობს ეგვიპტეში. ევროპა მდუმარებს, ხმას არ იღებს, მხოლოდ საფრანგეთი ინგლისის ყოველ ნაბიჯს

თვალ-ყურს ადევნებს და ისე ნაბიჯს არ ადგმევინებს, რომ სიტყვიერად მაინც წინააღმდეგობა არ გაუწიოს.

ამ ჟამადაც, როცა ინგლისმა ისე ნათლად და ცხადად გამოიჩინა ეგვიპტის სრულიად დაპატრონების სურვილი მის შინაურს საქმეებში ჩარევით, საფრანგეთი შეეკითხა, რას მოასწავებს თქვენი საქციელიო. არა ვინ იცის, გაიტანს რასმე თუ არა მარტო ერთი საფრანგეთი ასეთის „პროტესტებით?“ საექვოა გაიტანოს რამე ევროპის სახელმწიფოთა დაუხმარებლად. გერმანული გაზეთები ამტკიცებენ, რომ სამთა კავშირი—გერმანია, ავსტრი-ვენგრია და იტალია—ინგლისს დაუჭერს მხარს და ეგვიპეტში ბატონობის ნებას მისცემსო, თუმცა უფრო საფიქრებელია, რომ ევროპა ისე ჩუმად, მდუმარებით და დიპლომატიურად ჩაატარებს ახლაც ეგვიპტის საქმეს, როგორც აქამდე. ვნახოთ, მომავალი რას უქადის ეგვიპეტს: უკანასკნელ დღეების დეპეშებიდგან-კი სჩანს, რომ ეგვიპტეში სხვა-და-სხვა ალაგას დიდი მოძრაობაა ამ ჟამად და ინგლისიც ახალ ჯარებს ჰგზავნის იქით იქაურ საოკუპაციო მხედრობის გასაძლიერებლად.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამასთანავე გასხლებთ 15 მანეთს, ხელის მოწერით შეკრებილს ს. ხაშურში, სოფ. ქედაში ახლად დაარსებულ სკოლის სასარგებლოდ, აგრეთვე გასხლებთ შემომწირველთა სიას:

ვლადიმერ ჩიქოვანი 2 მ., ვასილი მათიაშვილი 1 მ., ილარი ზაქარიაშვილი 1 მ., გრიგოლ კუბლაშვილი 1 მ., არსენ ძნელაძე 1 მ., აპოლონ ჩიქოვანი 1 მ., ვინმე რიონელი (მესხი) 1 მ., გრიგოლ გრძელოვი 1 მ., ილია კელენჯერიძე 50 კ., ყარამან ძნელაძე 1 მ., მოსეს მოსესიანცი 50 კ., მელქო გრძელოვი 50 კ., ივან გაგუა 60 კ., იოსებ ფანცულია 1 მ., №№—20 კ., სარდიონ ყანჩაველი 70 კ., ნესტორ ჩიქოვანი 1 მ., სულ 15 მან.

ვლადიმერ ჩიქოვანი.

ხაშური, 18 იანვარი.

# დეპეშა

26 იანვარი

**პეტერბურგი.** გუშინ მობრძანდნენ პეტერბურგს ჰერცოგინია ედინბურგისა და მისი ასული ვიქტორია; მიეგებნენ მემკვიდრე ცესარევიჩი და სხვა უავგუსტოესნი პირნი.

გამოცხადდა ბრძანება: გამოცემულ იქმნას სახელმწიფო ხაზინის ბილეთები ოთხის სერიისა 3 მილიონ მანათისა; თითო რიგს ბილეთებისას კუპონებით 8 წლის ვადა ექნება. ბილეთი ეღირება 50 მან., წელიწადში 3,79%-ით.

გამოცხადდა: მიღებულ იქმნას 29 მაისს 1892 წელს უმაღლესად დამტკიცებული წესი შესახებ შეღავათისა, რომელიც მიეცემა ვექსილებით ფულის სესხის დროს მიწის მფლობელთ და აგრეთვე მსესხებელთ საადგილ-მამულო საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებისა (ამ ჟამად ცალკე განყოფილებაა თავად-აზნაურთა სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკისა)—ის შეღავათი შემცირებულ იქნება იმ ვადამდე, რომელიც მინიჭებული აქვთ სახელმწიფო თავად-აზნაურთა სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის მსესხებელთ.

სიმბირსკის გუბერნატორი ტერენინი დანიშნულ იქმნა ვლადიმირის გუბერნატორად.

გუშინ სამანუფაქტურო დეპარტამენტის დირექტორის კოვალევსკის თავმჯდომარეობით დაიწყო მეორე სესსია პურის ვაჭართა და იმ კომისიის კრება, რომელსაც მინდობილი აქვს პურის ვაჭრობის საქმე განაწესიეროს. კრებამ განიხილა დროებითი დებულება შესახებ იმისა, რომ დინიშნულ იქმნას ინსპექცია, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს რუსეთიდგან საზღვარ გარედ გასატან პურის ავ-კარგიანობას. ზოგი ამბობდა, ასეთი ინსპექცია ფრიად საჭირო არისო, ზოგი ამტკიცებდა, ასეთი ინსპექცია პურის გატანას ხელს შეუშლისო. სახელმწიფო ქონებათა წარმომადგენელთ სთქვეს, უფრო უკეთესი იქნება, ვეცადნეთ, უკეთესი პური მოვიდეს რუსეთშიო. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი ამტკიცებდნენ, პურის ვაჭრობის ინსპექცია ძლიერ სასარგებლო იქნება, რადგან მაშინ უცხოელნი დარწმუნდებიან, რუსეთიდგან კარგი პური წამოვაო.

27 იანვარი

**პარიჟი.** საბრალმდებელო პალატამ გუშინ პანამის საქმის გამოგანაჩენი დაადგინა: მინისტრები რუვიე, დეველი, სენატორები გრევი და რენო და ადმინისტრატორი პანამის საზოგადოებისა კოტტიუ არ უნდა იყვნენ მოპასუხენი სამართლის „წინაშე; მინისტრად ნამყოფი ბაიო, დეპუტატები პრუ, ბერალ, დიუგე, დელა, ფოკონრა, სანლერუა, გობრონ, ადმინისტრატორი შარლ ლესეპსი, ფონტონი, კანტორის მოხელე ბლონდენ და აფერისტი ოსტონი ნაფიცთა სამართალში იძლევიან.

**რომი.** როგორც „Courrier National“-ი იუწყება, სხვა საემისიო ბანკებიც იმისთანავე უბედურ მდგომარეობაში არიან, როგორც რომის ბანკი. ფული აღარავის შეაქვს და აღარავის გამოაქვს, წარსულს კვირას ერთსაც არავის შეუტანია ფული შესანახად.

**ბერლინი.** მოლაპარაკება მცოდნე კაცებთან რუსეთისა და გერმანიის შორის სავაჭრო პირობის შესახებ გათავდა. კომისიას მიუვიდა სხვა-და-სხვა კარგად გამორკვეული წინადადება. გუშინ კომისიას პირველად უნდა ჰქონოდა კრება ბერტიგერის თავმჯდომარეობით, მომავალ კვირას-კი დაიწყობა პირობის განხილვა თითო მუხლობით.

„Hamburger Nachrichlen“-ი ამბობს: ჩვენის აზრით, უმეტესს ნაწილს გერმანიის ხალხისას გულით უნდა მშვიდობიანობის დაცვა რუსეთთან. მაინც და მაინც რუსეთის კეთილ-განწყობილობის სურვილი, რომელიც გამოიხატა მემკვიდრე ცესარევიჩის ბერლინში მობრძანებით, არ შეიძლება იმისთანავე მეგობრულის გრძნობით და სიხარულით არ მიიღონ ნემცებმა, რადგანაც სხვა არა ამასთან შეთანხმებული გრძნობა ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგი იქმნებოდაო.

პეტერბურგის ბირჟა, 26 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{,78}$ | $7_{,80}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 155¼ | 156 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 241¾ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 228½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 195¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102¾ | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | 100 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102¾ | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | 100 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | $99_{,87}$ |

# განცხადებანი


აბრეშუმის თესლეულობა ძმ. პასხალიდებისა

ბრუსსაში (ოსმალეთში)

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა, როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად სალია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელ თეთრს პარკს იძლევა. ისყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში, ოთხ-კუთხის ყუთებით და თითო ყუთში 7½ მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულ ქარვასლაში, № 128, ზაქათალაში—ძმ. პასხალიდების კანტორას.

(12—3)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—22)

ЧИСТКА и ГИГІЕНА ЗУБОВЪ

ЗУБНЫЯ СРЕДСТВА

ЗУБНАГО ВРАЧА

АДЕЛЬГЕЙМЪ

МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ

СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ

ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

(22—7)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

„ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

газета политическая, литературная, экономическая и общественной жизни.

Подписка на 1893 годъ.

Выходитъ ежедневно, въ форматѣ средняго газетнаго листа.

Съ цѣлью дать больше матеріала для чтенія газета выпускаетъ и вкладные листы.

Удовлетворяя желанія многихъ нашихъ подписчиковъ, редакція, не увеличивая цѣны газеты, будетъ выпускать для городскихъ подписчиковъ газету и послѣ праздничныхъ дней въ форматѣ четверти листа.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

Съ доставкой въ Тифлисѣ:

На годъ . . . 5 р.

„ полгода . . . 3 „

„ три мѣсяца . . . 1 „ 75 к.

„ мѣсяцъ . . . — „ 75 „

Съ пересылкой для иногородныхъ:

на годъ . . . 6 р.

*Подписка принимается: Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Ротинова № 3.*

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 50 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.


Доз. ценз. Тифлисъ, 27-го Января 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.